USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა

მეტი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამას

მარკ მაკკორდი,
პროგრამის
ხელმძღვანელი
mark_mccord@
dai.com

მარიკა შიოშვილი,
პროგრამის
ხელმძღვანელის
მოადგილე
marika_shioshvili@dai.
com



USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამას ახორციელებს კონსორციუმი დიეიაი გლობალი (DAI Global), პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფი (PMCG) და სოლიმარ ინთერნეიშენალი (Solimar International).

პროგრამის მიზანი:
USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მიზანია დააჩქაროს იმ სექტორების ზრდა, რომლებსაც გააჩნიათ სამუშაო ადგილების შექმნის, შემოსავლის ზრდის და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოთა მოგების გაზრდის დიდი პოტენციალი, გარდა სოფლის მეურნეობის სექტორისა. ამასთანავე, პროგრამა მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ეკონომიკური აქტივობების დივერსიფიკაციას ტურიზმსა და სხვა სექტორებში.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად პროგრამის ძალისხმევა მიმართული იქნება იმ სექტორებისა და ღირებულებათა ჯაჭვების განვითარების ხელშესაწყობად, რომლებსაც აქვთ ისეთი ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალი, რომელიც მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს შექმნის საქართველოს მოქალაქეებისთვის. ეს მოითხოვს თითოეული ღირებულებათა ჯაჭვისთვის ეკო-სისტემის შექმნასა და გაუმჯობესებას მიწოდება-მოთხოვნის, სამუშაო ძალის უნარ-ჩვევების განვითარების, კონკრეტული ღირებულებათა ჯაჭვის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერების და თანამშრომლობითი თანადაფინანსების მექანიზმების შექმნის კუთხით; რაც, თავის მხრივ, ინვესტიციების მოზიდვას და დიდ, მცირე და საშუალო საწარმოთა პოზიციონირების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

პროგრამა მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს თანამშრომლობის, სტრატეგიული პარტნიორობისა და ინვესტიციების საშუალებით რაც დაფუძნებული იქნება მთავრობას, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის დამყარებაზე. პროგრამა ინოვაციური და სხვა ეფექტური მიდგომების გამოყენებით, როგორიცაა თანამონაწილეობა და კონსტრუქციული დიალოგი, ხელს შეუწყობს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას.

მომდევნო 5 წლის განმავლობაში, პროგრამა ხელს შეუწყობს სულ მცირე 4000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას და 600 დიდი, მცირე და საშუალო საწარმოს გაძლიერებას. ასევე, მხარდაჭერილი საწარმოების გაყიდვების 50 მილიონი აშშ დოლარით გაზრდას და 15 მილიონი აშშ დოლარის მოზიდვას შექმნილი თანამშრომლობის ფარგლებში.

პროგრამა მოიცავს ოთხ კომპონენტს:

კომპონენტი 1: სამიზნე სექტორებში თანამშრომლობის გაძლიერება
ტექნიკური დახმარების გაწევითა და თანამონაწილეობრივი გრანტების საშუალებით, პროგრამა ხელს შეუწყობს სამიზნე ღირებულებათა ჯაჭვის წარმომადგენლებს შორის კავშირებისა და ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებასა და მათთვის საჭირო სერვისების გაუმჯობესებას; რაც, თავის მხრივ უზრუნველყოფს სექტორების განვითარებას.

კომპონენტი 2: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების ეფექტურობის, რეალიზაციისა და ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა და მათ მიერ ახალი პროდუქტებისა და მომსახურების შექმნის მხარდაჭერა
იმ ღირებულებათა ჯაჭვების იდენტიფიცირებითა და შესწავლით, რომელიც საუკეთესო შესაძლებლობას ქმნის საქართველოში ინვესტირებისა და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, პროგრამა ხელს შეუწყობს ახალი ბაზრების ათვისებას, შეთავაზებული პროდუქტის მრავალფეროვნების გაზრდას და გაფართოებას, ასევე, მჭიდრო კავშირების ჩამოყალიბებას დიდ, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებსა და მათ მხარდამჭერ ორგანიზაციებს შორის, რაც საერთო ღირებულებათა ჯაჭვის მდგრადი სისტემების შექმნას და გაძლიერებას შეუწყობს ხელს

კომპონენტი 3: სექტორის მოთხოვნის შესაბამისი სამუშაო ძალის განვითარება
პროგრამა ითანამშრომლებს საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან, ტრენინგების მომწოდებლებთან და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რათა სამუშაო ძალისთვის, სამიზნე სექტორის მოთხოვნების შესაბამისი ტრენინგებისა და საგანამანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა მოხდეს.

კომპონენტი 4: საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეწყობა
1,5 მლნ აშშ დოლარის მოცულობის თანამშრომლობის განვითარების ფონდის მეშვეობით, პროგრამა სამიზნე სექტორებში საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის (PPP) და გლობალური განვითარების ალიანსის (GDA) მექანიზმებს შექმნის, რაც ხელს შეუწყობს სფეროში არსებული გამოწვევების აღმოფხვრას, თავად ამ სექტორების განვითარებას და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ პროგრამას შემდეგი ელ.ფოსტის მისამართზე: economicsecurityprogram@dai.com

* შინაარსზე პასუხისმგებელია DAI Global და ის შეიძლება არ ემთხვეოდეს USAID-ის ან აშშ მთავრობის შეხედულებებს.